

ლადო პაპავა: „არაერთხელ გაეიკრიტიკებია მთავრობა, მაგრამ შეუძლებელია, ეს პოზიტივი არ აღვნიშნო!“



ლადო პაპავა

ნატო-ს ქვეყნების მინისტრიალმა ნათლად დაგვანახა, რომ რუსეთის იმიჯი, რომელმაც ბოლო წლებში თითქმის სტალინისდროინდელი ძლიერების დამახასიათებელი სახეები შეიქმნა, რას დაკარგავს რუსეთი და რას საქართველო, რა პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები აქვს საომარ მდგომარეობაში მყოფი რუსეთი, ამ თემებზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ყოფილი დეპუტატი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება.

— როგორ ფიქრობთ, ამ ქვეყნის ლიდერებმა მოსალოდნელი შედეგი ვერ გათვალეს თუ რუსეთს უბრალოდ, არ აინტერესებს დანარჩენი მსოფლიოს განწყობა?

— რუსეთის გაძლიერებას ორი მიზეზი აქვს, ერთი ეკონომიკური, მეორე — პოლიტიკური. თუმცა რუსეთი არა ეკონომიკურმა რეფორმებმა, არამედ ნავთობპროდუქტებზე ფასების უწყვეტმა ზრდამ გააძლიერა. გარდა ამისა, მეორე მომენტითაა გასათვალისწინებელი, რუსეთის ბაზრის მასშტაბების გამო, თუნდაც თამაშის იმ წესებით, რაც ამ ქვეყანაში ჩამოყალიბდა, ის ყოველთვის მიმზიდველი იყო უცხოელი ინვესტორებისთვის. რაც შეეხება პოლიტიკურ სიძლიერეს, ეს დასავლეთის დამსახურებაა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რატომღაც ჩაითვალა, რომ რუსეთი დემოკრატიული თუ არა, ისეთი ქვეყანაა, რომელიც აქტიურად მიდის დემოკრატიისკენ. არ ვიცი, ეს რა იყო, თავის მოტყუება თუ იდეალებისადმი ზრმა რწმენა, მაგრამ მიიჩნევს, რომ რუსეთი უკან აღარ დაბრუნდება და მაქსიმალურად ჩართეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფორმატებში. ამით კიდევ უფრო შეუწყვეს ხელი მის განვითარებას. გავიხსენოთ, შეიქმნა ნატო-სა და რუსეთის თანამშრომლობის სპეციალური ფორმატი. ნატო რუსეთს არასოდეს მიიღებს და არც რუსეთს ენდომება ნატო-ს წევრობა, მაგრამ ამის მიუხედავად რუსეთი, რომელიც არ არის ნატო-ს წევრი ქვეყანა, პრაქტიკულად, გადაამწყვეტი ხმის მქონე აღმოჩნდა, როდესაც ნატო-ში საქარ-

თველოსა და უკრაინის განვითარება იხილებოდა. ხომ ფაქტია, ეს საკითხი არა ნატო-ს წევრობა რუსეთში დაბლოკა. რუსეთის ასევე, ანგარიში გაუწიეს და დიდი შვიდიანის ფორმატი დიდი რვაიანით შეიცვალა. ეს ის ფორმატია, სადაც მსოფლიოს ლიდერები პოლიტიკურ და გლობალურ ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ. დასავლეთი ყოველთვის მოითხოვდა რუსეთში ისეთი რეფორმების ჩატარებას, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისი მიღება შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ თავიდან რუსეთი მიიჩნევდა, რომ ის ისედაც მდიდარი იყო, მას ეს არ სჭირდებოდა. მხოლოდ ბოლო სამი წელიწადია, გამოიკვეთა ხედავს, რომ რუსეთს ამ ორგანიზაციის წევრობა სჭირდება. როგორც ჩანს, მიხედვით, რომ მხოლოდ ნავთობისა და გაზის მაღალი ფასებით ცხოვრება შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც რუსეთი ასე მოძლიერდა, ჩათვალა, რომ მას უკვე შეუძლია, მსოფლიოს საკუთარი თამაშის წესები შესთავაზოს.

კიდევ ერთ მომენტს მინდა, მივაქციო ყურადღება — ეს არის დამარცხებული ქვეყნის სინდრომი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიაში დამარცხებულის სინდრომი ჩამოყალიბდა, რამაც ფაშისმის აღზევებას შეუწყობდა ხელი. რუსეთშიც შეიქმნა განწყობა, რომ სსრკ-ს დამარცხება, იმპერია დამარცხდა. ამან შეუწყობდა ხელს ნაციონალურ-რევანშისტული ფენომენის გაძლიერებას. მათ გადაწყვიტეს, რომ უკვე საკმარისად ძლიერები არიან და შეუძლიათ საკუთარი ძალაუფლების გავრცელება მეზობელ სახელმწიფოებზე და მსოფლიოსთვის იმის ჩვენება, რომ საკუთარი სიტყვა ეთქვით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთი ხშირად დამარცხებული გამოდიოდა. იუგოსლავია და კოსოვო ავიღოთ, სადაც რუსეთს ანგარიში არ გაუწიეს, ავღანეთსა და ერაყში ომრაცობდა, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ჩატარდა და მისი პოზიცია არავინ გაიზარდა. რაც შეეხება კავკასიას, რუსეთი კავკასიაში მილსადენების გაყვანას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დასავლეთმა აქაც გაიმარჯვა. ანუ დასავლეთმა, ერთის მხრივ, შექმნა ილუზია, რომ რუსეთთან თანამშრომლობა შეიძლება, მეორეს მხრივ, რუსეთმა დამარცხებული ქვეყნის კომპლექსი ვერ მოიცილა.

— მსოფლიომ რუსეთს აჩვენა, რომ მას ზურგს აქცევს, რამდენად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწვევი ზარალი შეიძლება მიიღოს რუსეთმა?

— ვიდრე მინისტრიალი შედეგობა, ასეთი ფაქტი მოხდა. სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის სამუშაოების შესასრულებლად ჩატარდა ტენდერი და აღმოჩნდა, რომ განაცხადი მხოლოდ ერთმა კომპანიამ შეიტანა და ისიც საოფისე ნაგებობაზე. სპორტული ნაგებობების მშენებლობაზე ტენდერი არავის მიუღია მონაწილეობა. ეს უკვე სერიოზული დარტყმაა, როგორც მორალური, ასევე, ეკონომიკური. ასე რომ, პირველი სიმპტომები უკვე გამოჩნდა. რუსეთიდან კაპიტალის გადინება დაიწყო, როცა სახელმწიფო აგრესორად არის გამოცხადებული და მხარდამჭერი მხოლოდ კუბა ჰყავს, ესეც ბუნებრივი

პროცესია. დღე არ გავა, რომელიმე მნიშვნელოვან ფორუმზე მის წინააღმდეგ სერიოზული განცხადებები არ გაკეთდეს. რუსეთი, პრაქტიკულად, მარტოა, მაგრამ მას აქვს საიმისო რესურსი, რომ მარტო იყოს, ასე იყო საბჭოთა კავშირის დროსაც.

— ამიტომ გეკითხებით, რამდენად ძლიერია დასავლეთის ზემოქმედების ბერკეტები?

— დღევანდელი მსოფლიო უკვე შეცვლილია. რუსეთის საფონდო ბაზარი ბევრად განვითარებულია. ომის პირობებში კი, კომპანიები მიმზიდველობას კარგავენ. ერთადერთი რეალური საქონელი, რაც რუსეთმა დასავლეთს შეიძლება შესთავაზოს, ნავთობი და გაზია. ანუ რუსეთის რეალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა საკმაოდ დაბალია. მას არა აქვს ფართო ნომენკლატურა იმ საქონლისა და მომსახურებისა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე შეიძლება გავიდეს და კონკურენტუნარიანი იყოს. გარდა ამისა, მსოფლიოში ბევრი შეზღუდვის დაწესება შესაძლებელია, მაგალითად, რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემის შეზღუდვა. მთელი რუსული ელიტის ოჯახები უცხოეთში ცხოვრობენ და იქ იღებენ განათლებას. ეს საკმაოდ სერიოზული ფაქტორია.

— მაშინ შეიძლება, საკითხი ასე დაფაქტურდეს, რომ მცირე საქართველოს გამო, რუსეთმა საკუთარი იმიჯი და ქვეყნის ბედი სასწრაფო შეაგდოს?

— ვერ გათვალა. გავიხსენოთ პირველი განცხადება, რომელიც გაკეთდა, თითქოს, საქართველომ ოსი ხალხის გენოციდი მოახდინა. რუსეთს გათვლილი ჰქონდა, რომ მთელი მსოფლიო მხარს დაუჭერდა და საქართველოს ოსების გენოციდი დაადასტურებდა. შემდეგი გათვლა იყო საქართველოსა და მსოფლიოს ფაშისმისგან დაცვა.

— ანუ, გამოდის, რომ რუსეთმა გადაწყვიტა, ისე ჩარეულიყო სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში ამას ამერიკა აკეთებს?

— ასეა, როგორც ამერიკამ გამოაცხადა, რომ ერაყი ტერორისტების ბუდეა, მთავარი ტერორისტი სადამ ჰუსეინია, საჭიროა ტერორიზმთან ბრძოლა და ეს რეჟიმი უნდა მოიშალოს, რუსეთმა ასეთივე ჭრილობა განაცხადა, რომ საქართველოში ფაშისმია. ტელევიზიით ვნახეთ კიდევ კადრები, როდესაც ერთ-ერთ რუს ჯარისკაცს ჰკითხეს, აქ რას აკეთებთო, უპასუხა — სოფელი სააკაშვილისგან გავათავისუფლებთ. ვიდრე ეს ომი დაიწყო, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული ჯარის წვრთნა რომ მიმდინარეობდა, პროკლამაციებს არიგებდნენ, სადაც სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმზე იყო საუბარი, თვითონ ტერორი „საკაშისტის“ ხომ რუსების მოგონილია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საქართველოს მხარდამჭერმა იაპონელმა ოპოზიციონერმა საპარტიო თანხას გადასცემს

ტოკიო, 21 აგვისტო. რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე ცეცხლგამჩენი მოწყობილობა ჩააგდო იაპონიის ერთ-ერთი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის აქტივისტმა. იგი დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნა. ამის შესახებ გაცხადდა პრეფექტურის პოლიციის სამმართველოში.

ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, საელჩოს ზიანი არ მისდგომია. განაცხადა იაპონიაში რუსეთის საქმეების დროებითი რწმუნებულმა მიხაილ გალუზინმა. მისი სიტყვებით, ინციდენტი 20 აგვისტოს, ადგილობრივი დროით 04 საათსა და 55 წუთზე მოხდა:

„საელჩოს ტერიტორიაზე ჩამოგდებული იქნა ცეცხლგამჩენი მოწყობილობა, რომელიც ააღდა და ჩაქრა. გუმბინ საელჩოში მიიღო მუქარის წერილი. ჩვენ ამის შესახებ ვაცნობეთ იაპონიის ხელისუფლებას. ალბათ ასეთ დროს ლოგიკური განაცხადით პროტესტი და იაპონიის ხელისუფლებისგან მოვითხოვეთ საელჩოს უშიშროების დამატებითი ზომების მიღება.“

არ შეგვიძლია, ყურადღება არ გავამახვილოთ იმაზე, რომ ეს ბანდიტური გამოხტომა მოხდა ადგილობრივ პრესაში გაჩაღებული ანტირუსული პუბლიკაციების ფონზე, რომლებიც დამახინჯებულად აშუქებენ რუსეთის ქმედებებს საქართველოს მშვიდობისთვის იძულების ოპერაციის მსვლელობისას.“

დაკავებულმა კი თავისი მოქმედება რუსეთის სიძულვილით ახსნა.


რუსი სალათები წყაღის ნაქრქალი დაბანაკდნენ!

რა სჯობა ახაზაში

ნათია ნოდია

სამი დღეა, რუსი ოკუპანტები აბაშის მიმდებარე სოფლებს დასტრიალებენ.

როგორც ჩანს, ამ მდინარის ხიბლი არც თანამედროვე დამპყრობლებს გამოპარვიათ. ისე, შორეულ წარსულში, აბაშის წყალს (ასე უხმობენ ადგილობრივები) თათარი დამპყრობლების შემოსევას ეწინააღმდეგებოდა სახელი. დამპყრობლები ნითელ ქუდს ატარებდნენ და ერთ-ერთი თავდასხმისას, როდესაც მტერი ადიდებულმა მდინარე ნალეკა, ნითელი ქუდების ნაკადით ადგილობრივების გაკვირვებამ მისცა ამ მდინარეს დღევანდელი სახელი. აბაშელები მომხდურს დაესხნენ და წყალს „აბაშა“, რაც თათრულიდან ნითელ ქუდად ითარგმნება, უწოდეს.



ისტორიული პარადოქსებით, აბაშის წყალს, ორიოდე დღის წინ რუსი მომხდურები ეწვივნენ. თურმე, ერთ-ერთი შორს გასულა, ხოლო ფონს გამოსულა გასჭირვებია და „პომოგიტი“, „პომოგიტი“-ო, — უყვიროდა თანამზახველებს.

თიონა: — მდინარის ნაპირას ვცხოვრობ, იმ დილას ბავშვს ვასერინებდი, იმდენად თავგანწირული ყვიროდა, ვიდრე, ჩვენები დაესხნენ თავს-მეთქი. თურმე, წყალს შეუტყუებია. აბაშის თავისებურება ჩვენ, აქაურებმა ვიცით, ალაგ-ალაგ სხვადასხვა ხილრმისაა წყალი. გადაარჩინეს, ალბათ, თორემ სხვების ყვირილსაც გავიგონებდი.

მირანა: — სამი დღეა, რაც წყემის ნაკრძალში შეცვივდნენ, რამოდენიმე ათეული იქნება, ალბათ, ტყეში არიან დაბანაკებული. თავდაპირველად, ამ ნაკრძალში ჩვენი სამხედროები იდგნენ, არ ვიცი, როგორ მოხდნენ იმ ტერიტორიაზე, ჩვენები გამოყარეს თუ ცარიელი ტერიტორია დაიკავეს, მაგრამ დავალბას ასრულებენ. სამხედრო ტექნიკის განადგურებას განაგრძობენ, რამოდენიმე სამხედრო მანქანა გადაწვეს. კვამლი სოფლამდე მოდის. მოსახლეობა ერიდება მათთან კონტაქტს, ვიცი, რომ მდინარეზე დადიან, ამიტომაც იქით მხარეს არც გავსულვარ.

რაული: — სადამდე უნდა იდგნენ, ამითი გადამკიდე, სოფელი ჩამკვდარია, ალმოსავლეთ საქართველოში გადასვლას ვინ დაეძებს, აქედან ზუგდიდსა და სენაკში ვერ ჩასულა ადამიანი. ისე, სამხედროებს ადგილობრივების გასაგონად უთქვამთ, ცოტა ხანს ავიტყენით, არაფერი გიჭირთ, ჩვენ რამდენი ხანი გიძლებდითო. ნავიდენ, თორემ, უკვე ამათი ყურება აუტანელია, ერთი სამხედრო იხრჩობოდა, თურმე, აბა, ჩვენი ცოდვა ამათ გაახარებს?

მონა: — ჩვენ ჯერჯერობით არ გვიჭირს იმდენად, ფოთში კი, დამატებითი სამხედრო ტექნიკა ჩამოყვანეს, თვითმავალი სამხედრო მძიმე არტილერია შემოტანილი, ამკარად იგრძნობა, რომ სამზადისში არიან, სულ გადათახრეს ქუჩები, სანგრებს აკეთებენ, არ უჩანთ წასვლის პირი, პირიქით, მეტად დაფუძნებას აპირებენ. თუმცა ხალხი პანიკაში არ არის, ჯერჯერობით არ გვერჩიან და ვნახოთ, რა იქნება.

სანდრა რელოვისი: „კრავს გადაწყვეტილი აქვს, ნაზისიანი შორებით მოიხილოს მიხაილ სააკაშვილი, არსებობს მონაგვლის რეალური საფრთხე!“



„როგორც ჩანს, რუსეთი უკვე პერსონალურ მტრად მიიჩნევს ჩემს მეუღლეს, ჩვენ ვიცით, თუ რაზეა ნამსვლელი რუსეთი საკუთარი მიზნების მისაღწევად, მე ვფიქრობ, უკრაინის პრეზიდენტზე, რომელიც დიოქსინით მონამლეს, ასევე, იმ არაერთ საეჭვო სიკვდილზე, რომელიც ბოლო პერიოდის მანძილზე მოხდა“, — სანდრა რელოვისი ამ ინტერვიუს ფრანგული მედია აქვეყნებს, საქართველოს პირველი ლედის განცხადებით, „ვარდების რევოლუციის“ პირველივე დღიდან მოსკოვი ცდილობს, ჩემი მეუღლის ხელისუფლება დაამხოს, ის ამ მიზნის მიღწევას ცდილობდა ეკონომიკური სანქციების მეშვეობით, ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების დაფინანსებით, ამჯერად, საქმე მივიდა დაბომბვაზე და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაზე, მაგრამ მაინც ვერ მალნიეს სასურველ შედეგს, ახლა რეალური საფრთხე არსებობს, რომ მიზნის მისაღწევად დიოქსინიანი ჩაის გამოყენება სცადონ.“



